თბილისის "დინამო" – მერვედფინალში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი, 2 ნოემბერი.

"დინამო" (თბილისი)– "კბ კოპენჰაგენი" (დანია) 2:1 (0:0)

"დინამო" გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ჩივაძე (ჩელებაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი (შენგელია), დარასელია.

"კბ კოპენჰაგენი": კვისტი, მიუსინგი, ჰანსენი, ნილსენი, ლინდბიუ, ნერეგორდი (ს. ანდერსენი), აუგენბროდტი, ლ. ჰანსენი, ჰოლმსტრემი, ლაუდრუპი, ტ. ანდერსენი.

მსაჯი: ა. მატისონი (ფინეთი).

გოლები: ჩელებაძე (2), ტ. ანდერსენი.

საკუთარ მინდორზე დამარცხებამ "კბ კოპერჰაგენის" მწვრთნელებიც, ფეხბურთელებიც უთუოდ დაარწმუნა, რომ როგორც ტექნიკურად და ტაქტიკურად, ისე გამძლეობითაც საკმაოდ ჩამორჩებოდნენ სტუმრებს. რა ზომების მიღება შეიძლებოდა საპასუხო მატჩში? ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში დანიელებმა გადაწყვიტეს მთელ მინდორზე პერსონალურად "აეყვანათ" "დინამოს" ნახევარმცველებიც და თავდამსხმელებიც. გასაკვირი არ არის, რომ განსაკუთრებული ყურადღება მაჩაიძემ და ყიფიანმა დაიმსახურეს (ჰანსენი და აუგენბროდტი).

თხუთმეტი წუთის განმავლობაში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. თბილისელებს მართლაც გაუჭირდათ უპირატესობის მიღწევა.

აქ შეიძლება ვუსაყვედურით "ბკ კოპენჰაგენის" მწვრთნელს, რომ გუნდი, რომელიც მაინცდამაინც არ გამოირჩევა ფიზიკური მომზადებით, პრესინგის სათამაშოდ გაწირა (ეს სისტემა, როცა აუცილებლად გჭირდება გამარჯვება, ბევრი ვერაფერი საშუალებაა. მითუმეტეს, თუ არ გაგაჩნია საამისოდ აუცილებელი ფიზიკური ბაზისი), მაგრამ როცა სხვა, უკეთესი გზაც არ ჩანს? პირველი მატჩის "ღია ფეხბურთი" ხომ ოთხ გოლად დაუჯდათ დანიელებს?

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გუშინდელი შეხვედრის ბედი სწორედ ამ ერთი შეხედვით უღიმღამო თხუთმეტმა წუთმა გადაწყვიტა. თანდათან, და ეს არავისთვის მოულოდნელი არ გამოდგა, შერბილდა პრესინგი, სტუმართა კართან ერთობ იმრავლა სახიფათო მომენტებმა, დანიელმა ფეხბურთელებმა ისღა შეძლეს, რომ პირველ ტაიმში მატერიალური წონასწორობა არ დარღვეულა.

მატჩის განახლებისთანავე "კბ კოპენჰაგენმა" სრულიად გადაიხადა პირველი ტაიმის საზღაური. ჩელებაძის აქტიურმა თამაშმა მხოლოდ დააჩქარა ეს პროცესი. 2:0 –ეს საჭიროზე მეტიც იყო. ყველაფერი, რაც ამის შემდეგ მოხდა, უფრო საფუხბურთო სპექტაკლს წააგავდა. თუმცა ამით არც სტუმრებს დაშავებიათ რამე და არც მასპინძლებს.

თბილისის "დინამო" ორი მატჩის ჯამით უეფა–ს თასის გათამაშების მერვედფინალში გავიდა. მორიგ მეტოქეს დაასახელებს წილისყრა, რომელიც ხვალ ციურიხში მოეწყობა.

ი. ბერიაშვილი
"ლელო" 3.11.1977 წ.